

ავთანდილ ნიკოლეიშვილი /ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი/

ფერეიდნელთა ქართული ცნობიერების პოეტური გამოხატულება

საკვანძო სიტყვები: ფერეიდანი, გურჯისტანი, ქართველი, ქართული ენა, ეროვნული ცნობიერება.

სტატიაში განხილულია ფერეიდანში მცხოვრებ ქართველ მოღვაწეთა და სახალხო მთქმელთა მიერ შექმნილი ქართულენოვანი პოეტური შემოქმედება, როგორც მათი პატრიოტული თვალთახედვის წარმომჩენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მასალა. ფერეიდნელთა მიერ შექმნილ პოეტურ ტექსტებში სიღრმისეულადაა გამოხატული ისტორიული ავბედობის შედეგად მშობლიურ წიაღს მოწყვეტილი ჩვენი თანამემამულეების ეროვნული ცნობიერების განმსაზღვრელი არსებითი მხარეები.

2003 წლის ნოემბერში, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დამეგობრებულ ირანის ისლამური რესპუბლიკის გილანის უნივერსიტეტში სტუმრად ყოფნის დროს, ქალაქ რეშთში, სადაც ეს უნივერსიტეტი მდებარეობს, იქ არსებული ქართული რადიოს რედაქციაშიც მიგვიწვიეს სტუმრად. მკითხველს შევახსენებ, რომ ეს რადიო 1998 წლიდან ბოლო დრომდე ყოველდღიურად გადიოდა საღამოს ეთერში ერთსაათიანი პროგრამით. ამ გადაცემათა მიმღებ ძირითად აუდიტორიად საქართველო მოიაზრებოდა. ირანის ქართული რადიოს მიზანი იყო, ქართულენოვანი მსმენელისთვის მიეწოდებინა მრავალფეროვანი ინფორმაციები როგორც ირანსა და საქართველოში, ისე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ. წარუშლელი ემოციებით დამუხტულ ამ შეხვედრაზე რადიორედაქციაში მომუშავე ჩვენმა ირანელმა თანამემამულეებმა, რომელთა უმეტესობა ფერეიდნელი ქართველი იყო, ბევრი რამ გვიამბეს თავიანთ შესახებ.

მიუხედავად ობიექტურად წარმოქმნილი სირთულეებისა, ფერეიდნელთა დიდი ნაწილი მაინც ცდილობს წინაპართა ფესვებთან კავშირი არ გაწყვიტოს, ეროვნული ცნობიერება არ დაკარგოს და ქართული ენა არ დაივიწყოს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართველებს, ისევე როგორც მაჰმადიანური აღმსარებლობის მიმდევარ სხვა არასპარსელებს, ირანში მშობლიურენოვანი სკოლის გახსნა და ბეჭდური პროდუქციის გამოცემა შეზღუდული აქვთ, ეს რაოდენობა საკმაოდ დიდია და დამაიმედებელი.

როგორც ცნობილია, მთელი მსოფლიოს მასშტაბით საყოველთაოდ მიმდინარე ურბანიზაციის პროცესმა, რაც დიდ

ქალაქებში მოსახლეობის მასობრივი მიგრაციის საფუძველიც ხდება, ფერეიდნელ ქართველთა ცხოვრებაშიც შეცვალა ბევრი რამ. მიუხედავად ამისა, მათი დიდი ნაწილი მაინც ცდილობს, მშობლიურ ფესვებს არ მოწყდეს და შეძლებისდაგვარად შეძლოს თავისი ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი ისეთი უმთავრესი ფენომენის გადარჩენა და შენარჩუნება, როგორცაა ერთმანეთს შორის ძირითად საკომუნიკაციო საშუალებად ქართული ენის გამოყენება.

ეს რომ ნამდვილად ასეა, ამაზე ფერეიდნელი ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფის მიერ 2003 წლის 14 აპრილს (დიახ, 14 აპრილს, ქართული ენის დღეს) ქალაქ ფერეიდუნშაჰრში ქართული ენის დაცვისადმი მიძღვნილი პირველი კონგრესის ჩატარების ფაქტიც ნათლად მეტყველებს. კონგრესის მიზანი იყო ფერეიდნელ ქართველთა მიერ მარტყოფის ენად წოდებული ქართული ენის შენარჩუნების პრობლემაზე მსჯელობა.

ირანის ქართული რადიოს თანამშრომლებმა არა მარტო სიტყვიერად გვიამბეს ამ კონგრესის შესახებ, არამედ მისი აუდიოჩანაწერიც გვისახსოვრეს. კონგრესის მიზანდასახულობაზე ჩვენი მასპინძლების მონათხრობს განსაკუთრებული ემოციური მუხტი შესძინა დედაენისადმი მიძღვნილი სიმღერის მოსმენამ, რომელშიც ისტორიული ავბედობის გამო თითქმის ოთხი საუკუნის წინათ მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი ჩვენი თანამემამულეები გულისშემძვრელი სიტყვებით ასხამდნენ ხოტბას „მარტყოფის ენას“ და სიმღერად გარდაქმნილი გოდებით შემდეგნაირად გამოხატავდნენ თავიანთ ეროვნულ წუხილს:

**რა ტყუილად გარბის დღები, ღამები, ცაში
სეირნობს ჩქარა წამები,
მივდივარ წყნარად ბევრი დარდებით, ვფიქრობ
ბაღჩაზე გამხმარ ვარდებით.**
ეს არის ჩემი ბედისწერა, ენის დაკარგვა - ცივი სიმღერა.
ვინ უჭკრეტს ჩემსა გატეხილ გულსა, არვინ არ
ეძებს ჩემს დაკარგულსა.
გულის წიაღში მაქვს ბევრი დარდი, ისიც, რომ
ხმები ჩვენ ლამაზ ვარდი.
ჩემს გამხმარ ვარდსა უმღერებთ ჩვენა, რომ არ და-
ვკარგოთ თვის დედაენა.
ის ვარდი არის ჩემი მარტყოფი, ისტორიის ხელით
ავანტყოფი.
მთების შუაში ჩავარდნილა, წყაროსგან შორს და-
ვარდნილა.
არვინ გაიგებს მის გულისტკივილს, მხოლოდ უჭ-
კრეტენ თვის ცივი ღიმიით.

**რა ტყუილად გარბის დღები, ღამები, ცაში
სეირნობს ჩქარა წამები,
მივდივარ წყნარად ბევრი დარღებით, ვფიქრობ
ბალჩაზე გამხმარ ვარდებით.**

მიუხედავად იმისა, რომ ენობრივადაც და პოეტური ოსტატობის მხრივაც სიმღერად ქცეულ ამ ტექსტში ბევრი რამაა სათანადოდ დაუხვეწავ-გაუმართავი, იგი მკითხველს მაინც ხდის იმ სათუთი ტკივილის თანამოწიარედ, რის საფუძველზეც ეს პატრიოტული ელეგია დაიწერა. კერძოდ, დამოწმებული ლექსის მკითხველი ყოველგვარი სირთულის გარეშე შეიცნობს ჩვენი ფერეიდნელი მოძმის მიერ მშობლიური ენისა და წინაპართა ისტორიული სამშობლოს პოეტურ ალეგორიებად ქცეული ისეთი სიტყვა-გამოთქმების მიღმა ნაგულისხმევ აზრობრივ ქვეტექსტებს, როგორებიცაა: გამხმარი ვარდებით სახვე ბალჩა, გატეხილი გული, ცივი სიმღერა და ა. შ.

აქვე მინდა ზემოთ მოხსენიებულ კონგრესზე გამოსული ერთ-ერთი ქართველი ორატორის — ალირეზა რაჰიმის ის სიტყვებიც გავიხსენო, რითაც მან თავის უცნობ და შორეულ სამშობლოს მიმართ ირანიდან: “ჩემო ძვირფასო, კეთილშობილო სამშობლო, ჩემო აკვანო და ჩემო საფლავო! დიდო და დიდებული მომავლის ქვეყანავ! რამდენი სიკეთე გიქნია ქვეყნიერებისათვის! რამდენმა მეომარმა და გმირმა დასდვა თავი შენს ძლიერობას და დიდებას! ჩემო დედავ, მე შენ ჯერ კარგად ვერ გიცნობ, მაგრამ მიყვარხარ და ვამაყობ, რომ შენი შვილი ვარ! მიყვარს შენი მშვენიერება, სიკეკლუცე, შენი ზღვა, შენი წყაროები და მდინარეები, ქალაქები და სოფლები“.

ვფიცავ, შევიყვარო შენი ყოველი შვილი, როგორც ჩემი ძმები! თაყვანსა ვცემ შენს სასიქადულო შვილებს, როგორც ცოცხლებს, ისე განსვენებულებს. მე ვიქნები შენთვის კეთილი და პატიოსანი მოღვაწე. ვფიცავ, გემსახურო მკლავით, ჭკუით, სულით და გულით. და თუ შენ განსაცდელის ჟამი დაგიდგეს, მზად ვიქნები, სიცოცხლეც შევწირო შენს დროშას, შენს სახელს და შენს დიდებას!“

ქვემოთ შევეცდები, მკითხველს დღესდღეობით ხელმისაწვდომ მასალებზე დაყრდნობით, რამდენადმე მაინც შევუქმნა წარმოდგენა იმ ეროვნულ თვალთახედვაზე, რასაც ფერეიდნელი ქართველები გამოხატავენ მათი ქართულენოვანი ლექსებითა და სასიმღერო ტექსტებით. სამწუხაროდ, მათ მიერ შექმნილი ფოლკლორული ტერატურული მემკვიდრეობის უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ არაა შეკრებილი და სრულიად უცნობია საქართველოში.

სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში ამ მიმართულებით მუშაობა რამდენადმე გააქტიურდა და რეალურად გადაიდგა პირველი წარმატებული ნაბიჯები. ამ თვალსაზრისით უწინარეს ყოვლისა მინდა ჯემშიდ გიუნაშვილისა და ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ 2003 წელს თბილისში გამოცემული პოეტური კრებული —

“ფერეიდნელის ოროველა“ გავიხსენო, რომელშიც ჩვენი ფერეიდნელი თანამემამულეების ქართულენოვანი ლექსებია დაბეჭდილი.

აღბათ, არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ფერეიდნელთა შემოქმედებაში გამოვლენილი ეროვნულ-პატრიოტული მუხტი გაცილებით უფრო მძლავრია და მგზნებარე, ვიდრე ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი სხვა ქართველებისა. მართალია, მშობლიური წილისაგან განშორებით განპირობებული ტკივილის გამოძახილი მათი ქართულენოვანი ტექსტების უმთავრეს თემადაცაა ქცეული, მაგრამ თავისი სიმძლავრითა და მასშტაბებით იგი ფერეიდნელთა პატრიოტულ ნააზრევში გამოვლენილ ემოციურ მუხტს ვერ შეედრება.

ფერეიდნელ ქართველთა ხსენებული ტექსტების შექმნის უმთავრეს საფუძვლად კი პირველ ყოვლისა ის ეროვნულ-ქართული ცნობიერება იქცა, რომელიც მათ მშობლიური ფესვებისგან ოთხასწლოვანი მოწყვეტის მიუხედავად მაინც მტკიცედ და მყარად შეინარჩუნეს. ყოველივე ზემოთქმულის დასტურად აქ თუნდაც იმ წერილის გახსენებაც იქნება საკმარისი, რომელიც ერთ-ერთ ფერეიდნელს გაუგზავნია თურქეთში მცხოვრები ქართველისთვის 2004 წელს (იხ: გ. კალანდია, 2010: 131). მოზღვავებულ ნოსტალგიურ გრძნობათა ემოციური სიმძაფრით წარმომსახველი ეს წერილი მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტს იმ თვალსაზრისითაც წარმოადგენს, რომ მისი ავტორი ისტორიული ავბედობის გამო მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი ჩვენი თანამემამულეების ეროვნულად შემკავშირებლის როლშიც გამოდის. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ ადამიანების ზოგადად აღმნიშვნელ ტერმინად მან ერთი გასაოცარი სიტყვაც იხმარა პირველად — თანაფესვი, რითაც ზუსტი ადეკვატურობით გამოხატა უმთავრესი არსი მათი ერთობისა და განუყოფელობისა.

“ფერეიდუნ შახრი. 2004 წელი“ (სტილი დაცულია).

ძვირფასო ძმაო რეკებ, სალამ ალეიქუმ ვა რაჰმალაჰ! გაუმარჯოს თურქეთის ყველა ქართველს! არ ვიცი, როგორ გითხრა, რასა ვგრძნობდი და როგორ ვიყავი, როდესაც ვკითხულობდი შენს წერილსა. როგორც ფრინველი ზეცაში ფრინავდეს, ისე ვიყავ. ტყავში და ქერქში ვერ ვდგებოდი სიხარულით. თვალზე ცრემლი და გულში დარდი მქონდა. ნეტავ რატომ ძმები ასე შორს იყვნენ...

ჩვენ აქ ვართ 400 წელია. 1616 წელს შაჰ-აბასმა თეიმურაზ მეფესთან და ლუარსაბთან ომში გაიმარჯვა და დაასახლა ბევრი ქართველი ირანში. ისინი მოვიდეს ამ რაიონებში: მაზანდარანი, ფარაჰაბადი, ისფაჰანი, შირაზი, ხორასანი. მანდ რჯულიც შეიქმნა ჩვენი მოჰამადიანი.

ახლა კი ქართველები არიან აქნებში: ფერეიდუნ-შახრში (აქ 20000 ქართველია და არის ირანის ქართველების ცენტრში)... აქ

ყველაფერი ქართველებს უჭირავთ — გუბერნატორობა, ქალაქის საბჭო და არმია.

ამ ქალაქის არემარეში პატარა სოფლებიც კი ქართულია... აქედან წასულან ქართველები ახლოდროებში ემიგრანტად: ისპაჰანში, ნაჯაფაბადში, თეირანში. აქ ზოგს დავიწყნია ენა, მაგრამ უფრო მეტს არა. ბევრს უყვარს ქართული ენა და ერი და ჩვენც არ გვინდა ისეთი ქართველი, რომელიც ადვილად დაივიწყებს თავის წინაპრის ტანჯვას, ბრძოლას ენისა და ერისათვის.

ჩვენ ახლა უკვე გვაქვს ქართული სკოლა და ბავშვებს, ახალგაზრდებსა და დიდებს წერა-კითხვას ვასწავლით, მე კი ისტორიის მასწავლებელი ვარ...

ჩვენ სახლში მუდამ ქართულად ვლაპარაკობთ, მაგრამ ბუნებრივია 400 წელი დაუკავშირებლათ დედა სამშობლოსთან ბევრი სიტყვები შეიცვალა და ამნაირათ რომ გიწერ წერილს, ყველას არ შეუძლია საუბარი და ლაპარაკი...

თუ ჩვენი კავშირი გაგრძელდება და ღმერთიც მოგვეშველებს, ბევრ გასაოცარ რამეს დავიწერ ჩვენზე, თანაფესვო...

ძმაო, ახლა არის საათი დილის სამი და არ დამიძინია, გულში ვერ გთმობ, გულში ვერ გთმობ-მეთქი და იმიტომ კიდევ გამოგიგზავნი ბევრ წერილსა და სურათს. შენი თანაფესვი, სამუდამო ძმა ირანის ფერეიდუნ შახრის ქართველებიდან.

იმ მამულიშვილთაგან, რომელნიც დღესდღეობით გამორჩეულად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ფერეიდნელი ქართველების ეროვნული თვითშეგნების დაცვისა და განმტკიცების საქმეში, პირველ ყოვლისა საიდ მულიანი (მოლაშვილი) მინდა გავიხსენო, იქაურ ქართველთა თავკაცი, ცნობილი ისტორიკოსი და ბევრი დიდი ქართული საქმის წინამძღოლი ირანში. საიდ მულიანის ეროვნული ღვაწლის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამის დასტურად მისი ავტორობით გამოცემული თუნდაც ისეთი წიგნების დასახელებაც იქნება საკმარისი, როგორებიცაა: “ქართული ენის თვითმასწავლებელი“, “დედაენა სპარ-სულენოვანთათვის“ და “ქართველთა როლი ირანის ცივილიზაციასა, კულტურასა და ისტორიაში“.

ფერეიდნელ ქართველებში ქართული ენის დაცვა-შენარჩუნებასთან დაკავშირებით დღესდღეობით რეალურად არსებული მდგომარეობის გასაგებად უაღრესად მნიშვნელოვან ცნობებს ვხვდებით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2005 წლის 22 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ ს. მულიანის ქართულად დაწერილ წერილში — “ფერეიდნელი ქართველი თავის დედის ენას ზეიმობს“. როგორც ხსენებული პუბლიკაციით ირკვევა, ფერეიდანში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს ქალაქ ფერეიდუნშაჰრში, რომელსაც ქართულად მარტყოფი ჰქვია, 2005 წლის 14 აპრილს

(ქართული ენის დღეს) საზეიმოდ აღუნიშნავთ დედაენის დღე. ამ საქმის თაოსანი “ირანელ ქართველთა საზოგადოება” ყოფილა.

აი, როგორ განმარტავს თავად საიდ მულიანი ამ საზოგადოების შექმნის მიზანს (სტილი დაცულია): ჩვენი დიდი სურვილია ხელი შევუწყოთ “ქართული ენისა და კულტურის შენახვას, გამრავლებას და გაცნობას ქართველებისათვის და ირანელ სხვადასხვა ტომებისთვის. ამ 4 წლის განმავლობაში ჩვენი ჯგუფს გაგვეთები ბევრი საქმეები. მათ შორის ქართული ენის თვითმასწავლებლის გამზადება და დაბეჭდვა, კასეტას გამზადება, ბროშურების გამზადება ქართველების შესახებ, ჟურნალ-გაზეტებში სტატიების დაბეჭდვა ქართველების ისტორიისა და კულტურის შესახებ და ბევრი სხვა მნიშვნელოვანი საქმეები. ერთ-ერთი ჩვენი მნიშვნელოვანი და დიდი საქმე არი ქართული ენის დიდების ყრილობის ჩატარება 14 აპრილში“.

ყრილობას, რომელსაც ბატონი საიდი თავმჯდომარეობდა, ოთხასი კაცი დასწრებია. დამსწრეთა შორის ყოფილან საქართველოს ელჩი ირანის ისლამურ რესპუბლიკაში, პოლიტიკოსები, მწერლები, მეცნიერები და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებიდან მიწვეული სხვა ცნობილი ადამიანები. წერილის ავტორის თქმით, ყრილობაზე დასასწრებად იმდენი ხალხი მისულა, რომ დარბაზში ნემსის ჩასაგდებად ადგილიც კი აღარ ყოფილა და ბევრი მათგანი ფეხზე დამდგარი ადევნებდა თვალს ყრილობის მიმდინარეობას.

ყრილობის მონაწილენი სამ საათზე მეტი ხნის განმავლობაში საუბრობდნენ მათ ეროვნულ პრობლემებზე, პოეტები კითხულობდნენ ქართულ ენაზე დაწერილ თავიანთ ლექსებს, ასრულებდნენ ქართულ სიმღერებს, დაარიგეს ქართული ანბანი და დედაენის წიგნები. თანამემამულეთა ეროვნული სულისკვეთების ამგვარი ერთსულოვანი გამოვლინებით აღფრთოვანებული ბატონი საიდი თავის ემოციას ხსენებულ წერილში შემდეგნაირად გამოხატავს: “სიხარულისაგან კანში ვერ ვდგებოდი. მინდოდა მქონოდა 2 ფრთა და გაფრენილვიყავი. მინდოდა მინახვა ჩვენი 400 წინაპრები და მეთქვა, ნახეთ თქვენი შვილები ვართ, თქვენ გზაზე თქვენი მიზნების შესრულებისათვის ვცდილობთ. გიხაროდეთ, რომ არ დაიკარგა თქვენი სისხლი და ფესვები“. ყრილობის დასრულების შემდეგ თურმე “ყველა მოდიოდა კოცნითა და მადლობას იხდიდა“.

ირანში საიდ მულიანის თავკაცობით განხორციელებულ ქართულ საქმეებზე საუბრის დროს აქ ქალაქ ისპაჰანში 2013 წელს ქართული საკვირაო სკოლის დაარსების ფაქტიც მინდა აღვნიშნო. როგორც ინტერნეტით გავრცელებული მასალებით შევიტყუეთ, ბატონი საიდი მის მიერვე დაფუძნებულ ამ სკოლაში უამრავ ფერეიდნელ ქართველს ასწავლის ქართულ ენასა და წერა-კითხვას.

სოციალური ქსელებით თანამემამულეებისადმი გავრცელებულ მიმართვაში თავად იგი ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას ასეთ

შეფასებას აძლევს: „ჩემო დებო და ძმებო, ჩემო კარგო მეგობრებო! დიდი სიხარულითა და სიამაყით მინდა მოგახსენოთ, რომ რამდენიმე წლიანი პაუზის შემდეგ გაიხსნა ფერეიდანში საზაფხულო ქართული სკოლა. ეს არის ჩემი ცხოვრების ულამაზესი წამები, როცა შემიძლია ხალხს ვასწავლო ქართული ენა და წერა-კითხვა. ჩემო მალალო ღმერთო, უღრმესი მადლობა, რომ მე ამის ღირსი გამხადე!.. ენით და სიტყვებით აუწერელია ის სიამოვნება, რომელსაც მე ამით ვიღებ. მთელი სამყაროს სიმდიდრე რომ მომცენ, იმდენს არ გამახარებს, რამდენსაც ქართველი ბავშვების სიხარულს რომ დავინახავ ერთი ქართული ასოს დასწავლის შემდგომ... მსურველთა რაოდენობამ მოლოდინს გადააჭარბა და იძულებული გავხდით ორ ჯგუფად გაგვეყო, ანუ ჩემი სიამოვნება ორმაგად გაიზარდა (www.fereidani.ge).

იმის ნათელსაყოფად, აღნიშნულ მოვლენას რაოდენ მასშტაბური გამოხმაურებაც მოჰყვა ფერეიდნელთა მხრიდან, აქ ამასთან დაკავშირებით ბატონი საიდის მიერ ინტერნეტით გავრცელებული ღრმად ემოციური მიმართვის ამ ტექსტასაც დავიმოწმებ: „გუშინ ჩემი ისპაჰანის ქართულ სკოლაში იმ ოთახში, სადაც მე უნდა ვასწავლო ქართული წერა-კითხვა, ოთახის კარი არ იხურებოდა და სკოლის დასრულებამდეც ვერ დავხურეთ. ალბათ მიხვდით, ეს უბრალო მოვლენა რატომ არის მნიშვნელოვანი და ძალიან სასიხარულო. ქართველნო, ჩემო დებო და ძმებო, ჩემს ცხოვრებაში იშვიათად ვყოფილვარ ასეთი გახარებული. იცით, რატომ არ იხურებოდა კარი?

“ჩემ ქართულ სკოლაში იმდენი მსურველი მოვიდა, რომ ნამდვილად ნემსის ადგილიც აღარ იყო. დაუჭერებელი იყო. თვალებს არ ვუჭერებდი. კინაღამ სიხარულით ვიტირე. შაჰ აბასის დედაქალაქში, სადაც ის გეგმავდა ქართველთა გადაშენებას, ქართული ენის სწავლის მიზნით ამდენი ხალხი მოსულიყო. 200 კილომეტრი გზის სიარულით დაღლილობა უცბად გაქრა. 2 საათი გაგრძელდა ეს კლასი. ისე მიხაროდა, რომ თუ არ გაეჩერათ ჩემი თავი, დილაზე ვასწავლიდი. ღმერთო, უზომოდ მადლობელი ვარ, რომ ეს დღე მანახე!“ (www.fereidani.ge).

სამწუხაროდ, ფერეიდნელ ქართველთა ზეპირსიტყვიერი შემოქმედების უდიდესი ნაწილი არა მარტო ფართო საზოგადოებისათვისაა უცნობი, არამედ თავად სპეციალისტებისთვისაც კი. მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ჩვენი ფერეიდნელი მოძმეების ბედითა და ყოფით არაერთი ქართველი, მათ შორის მეცნიერიც, დაინტერესდა, მათი ფოლკლორული მემკვიდრეობის შესაგროვებლად და მეცნიერულად შესასწავლად დღესდღეობით ძალზე ცოტა რამ არის გაკეთებული.

თუმცა საამისო მცდელობას თავად ფერეიდნელ ქართველთა მხრიდანაც რომ ჰქონდა ადგილი, ამას უურნალ „განთიადისა 1908 წლის №5-6-ში გამოქვეყნებული ის წერილიც ადასტურებს, რომელიც ერთ-ერთ მათგანს — ყოლამ-ჰუსეინ ონიკაშვილს გამოუგზავნია საქართველოში თავისი ქართველი მეგობრებისათვის: “მე ეხლა დავდივარ ქართულ სოფლებში და ამათი რიცხვსა ვსწერ, იმათი ძველებურ ამბებსა და იმათი ყოფაცხოვრებას და იმათი სურათი გადამიღია“.

სამწუხაროდ, ყოლამ-ჰუსეინისა და ამ საქმით მასავით დაინტერესებული სხვა მოხალისეების ამგვარ მცდელობას რეალურად ხელშესახები შედეგი დღემდე არ მოჰყოლია. უადრესად საშური ეს საქმე კი საჩქაროდ და დაუყოვნებლად თუნდაც იმიტომაცაა გასაკეთებელი, რომ ფერეიდნელთა ზეპირსიტყვიერი შემოქმედების ის ნიმუშებიც კი, რომელნიც მათ მეხსიერებას შემორჩა, რეალურად დგას სამუდამოდ დაკარგვის საფრთხის წინაშე.

ფერეიდნელთა ზეპირსიტყვიერ შემოქმედებაზე საუბრის დროს განსაკუთრებული ყურადღება იმ ნიმუშებს მიენდა მივაქციო, რომლებშიც ოთხასი წლის განმავლობაში მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი ჩვენი მოძმეების ეროვნული ტკივილია გამოვლენილი. მართალია, მათ მიერ ამ თემაზე შექმნილი ზეპირსიტყვიერი შემოქმედებიდან მხოლოდ რამდენიმე ნიმუშიღაა მოღწეული, მაგრამ მკითხველი მათი მეშვეობითაც თვალნათლივ შეიგრძნობს მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი ადამიანის ტრაგედიას. ნათქვამის დასტურად აქ საქართველოშიც პოპულარული ის ხალხური ლექსი მიენდა გავიხსენო, რომელშიც ემოციური სიმძაფრითაა გამოხატული ყოველი ფერეიდნელი ქართველისათვის ცხოვრების სისწრაფის ნაწილად ქცეული ნოსტალგია მათი ისტორიული სამშობლოსადმი:

**ფერეიდანის მიწას ვხნავ აგერ ოთხასი წელია,
გამხმარი ფიქრი ჩავთესე, ხმელი ხორბალი ერია,
სამშობლოს მონატრული ვარ აგერ ოთხასი წელია.**

ფოლკლორულ ნიმუშებთან შედარებით, ქართველი საზოგადოებისათვის დღესდღეობით ფერეიდნელი სახალხო მთქმელებისა და პოეტურ სიტყვას შეჭიდებულ ავტორთა ქართულენოვანი ლექსები უფროა ცნობილი და ხელმეცაწვდომი.

ა. ჭელიძის ცნობით, გასული საუკუნის 20-იან წლებში, ფერეიდანში მისი ყოფნის დროს, იქაურ ქართველებს მხოლოდ ორი მოღვექსე-მოშაირე ჰყოლიათ. ერთ მათგანს წერა-კითხვა სრულიად არ იცოდა, რის გამოც მის მიერ შეთხზული ლექსები იკარგებოდა, მეორე მეღვექსე კი, რომელიც მაჰმად ჰუსეინ ალაჰის ფსევდონიმით იყო ცნობილი, სასულიერო პირს წარმოადგენდა. მართალია, მას ქართული წერა-კითხვაც სცოდნია, მაგრამ ლექსებს თურმე მაინც სპარსულ ენაზე წერდა. ა. ჭელიძის შეფასებით, მისი პოეტური ტექსტები “საშუალო ხარისხისაა, ფორმით და შინაარსით იგივე,

რასაც თანამედროვე ათეული და ასეული მგოსნები წერენ, ე. ი. გამეორებაა ძველი მგოსნების რითმისა და სახეების... ყოველ შემთხვევაში მაჰმად ჰუსეინ ალაჰი ერთადერთი მგოსანია, ქართველების წრიდან გამოსული“ (ა. ჭელიძე, 1951: 101).

როგორც ქართველმა ირანისტებმა მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად დაადგინეს, ა. ჭელიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თითქოს მის მიერ მოხსენიებული ავტორი ირანელ ქართველთა წრიდან გამოსულ ერთადერთ პოეტს წარმოადგენდა, სიმართლეს არ შეესაბამება და სპარსული მწერლობის ისტორიაში ქართული წარმომავლობის სხვა პოეტებიც საკმაოდ მრავლად გვხვდებიან. მთავარი და არსებითად მნიშვნელოვანი ამ კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ ისაა, რომ ა. ჭელიძის მართებული შეფასებით, ხსენებულ მწერალთა შორის იგი მართლაც ერთადერთია, ვინც თავის სპარსულენოვან ლექსებში შეძლებისდაგვარად ცდილობს გამოხატოს “ქართველების დაბეჩავება და ჩამორჩენა ეროვნული თვალსაზრისით“.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოში ფართოდ აღზევებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ფერეიდნელ ქართველთა ბედით ჩვენი საზოგადოების დაინტერესებას ახალი მასშტაბები შესძინა. გარდა სხვადასხვა სახის პუბლიკაციებისა და მრავალფეროვანი ტელე-რადიო პროექტებისა, ამის ერთ-ერთ ნათელ გამოხატულებას ფერეიდნელთა შესახებ ინტერნეტში განთავსებული საკმაოდ ვრცელი მოცულობის ვებ-გვერდიც წარმოადგენს სახელწოდებით: www.fereidani.ge

ჩვენი ფერეიდნელი მოძმეების ეროვნული გულისტკმის სიღრმისეულად შესაცნობად განსაკუთრებული ყურადღება მიიღო მივაქციო 2003 წელს თბილისში ვახუშტი კოტეტიშვილის რედაქციით გამოცემულ პოეტურ კრებულს — “ფერეიდნელის ოროველა“, რომელშიც ფერეიდნელთა ქართულენოვანი პოეტური შემოქმედებაა დასტამბული (შეკრიბა ჯემშიდ გიუნაშვილმა).

მიუხედავად იმისა, რომ კრებულში დაბეჭდილი ლექსების მნატვრულ-საშემსრულებლო დონეცა და ენობრივი მხარეც სათანადოდ გამართული არ არის, ამ წიგნის გამოცემა მაინც უნდა შეფასდეს ჩვენი დღევანდლობის ერთ-ერთ განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოვლენად. ამგვარი დასკვნის გასაკეთებლად უმთავრეს საფუძველს პირველ ყოვლისა იმ მძაფრი სიყვარულის გამოხატვა ქმნის, რითაც კრებულში თავმოყრილი ლექსების ავტორები არიან დაკავშირებულნი მათ ისტორიულ სამშობლო საქართველოსთან.

აი, როგორ განმარტავს ამ მოვლენის არსს ვ. კოტეტიშვილი წიგნისთვის წამძღვარებულ “წინათქმაში“: “ნოსტალგიის განცდა ჩვეულებრივი და ბუნებრივი მოვლენაა ყოველი ნორმალური ადამიანისათვის. კაცს რომ უცხოეთში თავის სამშობლო

ენატრებოდეს, სადაც სიყრმე და სიჭაბუკე გაუტარებია, რა გასაკვირია?! მაგრამ გენატრებოდეს ქვეყანა, რომელიც არც შენ გინახავს არასოდეს და არც შენს მამასა და პაპას, ეს კი მართლაც უჩვეულოა და ძნელად ასახსნელი. მით უმეტეს, რომ შენს ისტორიულ სამშობლოსაგან ოთხი საუკუნე გამოიშვება. ეს არის ალბათ გენეტიკური ნოსტალგია, მემკვიდრეობითი სევდა, თაობიდან თაობაში გადასული და ვერ დავიწყებელი, დროსა და სივრცესთან ჯიუტი ჭიდილი ასწლევლების მანძილზე“:

ფერეიდნელ ქართველთა ეროვნული ცნობიერების წარმომჩენი პირველი და უმთავრესი ნიშანი წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებული და თაობიდან თაობას გადაცემული მშობლიური ქართული ენაა. მართალია, ხანგრძლივი დროის განმავლობაში უცხოურ გარემოში ცხოვრების შედეგად ამ ენაში ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე მან მაინც წარმატებით შეძლო თავისი უპირველესი და უმთავრესი როლის შესრულება — ფერეიდნელთა ეროვნული თვითშეგნების გადარჩენა და შენარჩუნება. როგორც ჩვენი ხსენებული პოეტური კრებულიდანაც თვალნათლივ ჩანს, ეს ჭეშმარიტება მათაც კარგად აქვთ გაცნობიერებული და თავიანთ ლექსებში ისინი მშობლიური ქართული ენის განდიდებასაც აქცევენ განსაკუთრებული ყურადღების საგნად.

მაგალითად, ხოსრო მოყადასი (სეფაშვილი) უღრმეს გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მშობლიურ წიაღს მოწყვეტილი მათი დედაენა რეალურად დგას დაკარგვის საფრთხის წინაშე. ამ მოვლენის გაცნობიერებით შეწუხებული ჩვენი ფერეიდნელი მოძმე, რომელიც “ტირლით ცრემლგამხმარივ ეძებს გამოსავალს ამ მდგომარეობიდან, შველას პირველ ყოვლისა თავის ისტორიულ სამშობლოს თხოვს:

**აბა გაიღვიძეთ როდისამდე ძილში?!
ჩემო ძმაო, ჩემო დაო, ვეძებთ, ვეძებთ,
სად მოვნახოთ დედა ენა.
აორთქლდა და ავიდა,
ჩაჟონა თუ ჩავიდა? არსად, კაცო!
დედა ენის მძებნელო, იბოვე გულში...
იკარგების და ვეძებთ, არ არის.
ცრემლი განმა ტირილით.
ავადად ვარჩევ გაშლილ ქართულ სიტყვებს.
მიშველე, საქართველოს მთებო,
ცაო და სახელო, მიშველე!**

“ფერეიდნელის ოროველაში“ წარმოდგენილი ლექსებისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ მათში ღრმად შთამბეჭდავი სახით ვლინდება ჩვენი ფერეიდნელი

თანამემამულეების ეროვნული ცნობიერება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ემამყული ბათავანის (ნიკოლოზ ბათუაშვილის) პოეტური ტექსტები. მათში ემოციური სიმძაფრითაა წარმოჩენილი როგორც ფერეიდნელ ქართველთა ტრაგიკული ისტორიის ცალკეული ეპიზოდები, ისე მათი ნოსტალგიური სიყვარული ფიზიკურად უნახავი ისტორიული სამშობლოსადმი.

მიუხედავად იმისა, რომ ფერეიდნელ ქართველთა უმეტესობას მათი ისტორიული სამშობლო თვალთაც კი არ აქვს ნახული და მისდამი სიყვარული მის შესახებ მხოლოდ თაობიდან თაობას ზეპირსიტყვიერი ფორმით გადაცემული ამბებით უყალიბდებოდა, ეს სიყვარული მაინც იქცა მათი ეროვნული ცნობიერების სისხლნორცეულ ნაწილად. სწორედ წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებული ამ გენეტიკური გრძნობის ნათელ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ფერეიდნელები განსაკუთრებულ სიყვარულს იჩენენ ყოველივე იმისადმი, რაც მათ ისტორიულ სამშობლოსთანაა დაკავშირებული.

საქართველოსადმი სიყვარულის გრძნობა ჩვენი ფერეიდნელი მოძმეების ცალკეულ წარმომადგენელთა თვითშეგნებაში იმდენად ძლიერია და ფართო მასშტაბების მომცველი, რომ ისინი ქართულ მიწაში სამუდამო გასასვენებლის დამკვიდრებასაც ნატრობენ. მაგალითად, მეჭდი სეფიანს ლექსში “სამშობლო“ ეს ოცნება ასე აქვს გამოხატული: “ცხოვრებაში მე მაქვს ერთი ნატვრა — დარჩენ შენ მიწაში ჩვენი საფლავი“.

“ფერეიდნელის ოროველაში“ თავმოყრილი პოეტური ტექსტების ავტორები უღრმეს გულისტკივილს გამოხატავენ იმის გამო, რომ ბოლო დრომდე რეალურად თითქმის არაფერი კეთდებოდა მათსა და მათი წინაპრების ისტორიულ სამშობლოს შორის საუკუნეთა მანძილზე გაწყვეტილი კავშირ-ურთიერთობის აღსადგენად. ამ ტრაგიკული მოვლენის გაცნობიერებით განპირობებულ წუხილს ემამყული ბათავანი ერთგან ასე გამოხატავს:

**იტყვიან ასე, გვანსენებენ, სამ საუკუნე ნახევარია
კავშირია გაწყვეტილი ჩვენ გურჯებსა და იმათ შორის...
ოჰ, დედაო, ჩვენსას შორის კავშირია გაწყვეტილი.**

ემამყული ბათავანის შემოქმედება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმ მხრივაც იძენს, რომ მასში უმწვავესი ფორმითაა გამოხატული ჩვენი ფერეიდნელი თანამემამულეების ეროვნული გულისტკივილი. კერძოდ, ავტორი ყოველგვარი შენიღბვის გარეშე ავლენს უკმაყოფილებას იმის გამო, რომ დედა გურჯისტანის მხრიდან თავისი მოძმეების ეროვნული ცნობიერების განსამტკიცებლად გაწეული საქმიანობა საკმარისი არ არის და თავიანთი ისტორიული სამშობლოს შვილები მათ მიმართ ნაკლებ პრაქტიკულ მზრუნველობასა და რეალურ თანადგომას იჩენენ. ამ გულისტკივილის სიმართლეს თუნდაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ

გასული საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში რეპატრირებულ ფერეიდნელთა დიდმა ნაწილმა ისტორიულ სამშობლოში დარჩენას კვლავაც ირანში ცხოვრება არჩია. ეს გარემოება არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ჩვენი იმჟამინდელი საზოგადოება ეროვნულადაც და ფსიქოლოგიურადაც მზად არ აღმოჩნდა საუკუნეების განმავლობაში მშობლიურ წიადს მოწყვეტილ მოძმეთა მისაღებად და მათთვის კუთვნილი გულის სითბოს საწილადებლად.

გარდა აღნიშნული გარემოებისა, ემაყული ბათავანი ქართველ საზოგადოებას მისი ცალკეული წარმომადგენლების მიერ მათთვის დაპირებულ საქმეთა შეუსრულებლობის გამოც ეუბნება საყვედურს და ფერეიდნელ ქართველთა დიასპორას სპარსეთის ოკეანეში უგზო-უკვლოდ მავალ პატარა, თავდაუცველ და უმოტორო ხომალდს აღარებს: “ერთ დღეს მეჩეთში იყო მეჭლისი. მისალოცად შესვლისას იქ ვიხილე სკოლის დაფა, ღარიბად რომ კუთხეში კედელს ეკრა და შესცქეროდა ოცდა-ცამეტ ქართულ ანბანს, რომლებიც თავჩახრილნი მასწავლებლის ცარცს ელოდებოდენ! გული ამეგსო და ვთქვი: აბა, სად არიან ქართული ენის გამავრცელებელი საზოგადოების მსახურნი, რომ ნახონ სპარსეთის ოკეანეში პატარა თავდაუცველი ქართული უმოტორო ხომალდი, რომელსაც უგზო-უკვლოდ მიძოისვრიან ტალღები. და კიდევ გამახსენდა ფრაგმენტები ფილმიდან “მორია გურჯისტანამდე”, ის ეპიზოდი, რომ გვპირდებიან! ჩამოვლენო რვეულებით, ფანქრებით და დედაენითაო... და ერთბაშად წამოვთქვი ეს თქმულება”.

ფიზიკური სიმორის მიუხედავად, ჩვენი ფერეიდნელი მოძმეები არა მარტო უბრალოდ ადევნებენ თვალს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე დრამატულ მოვლენებს, არამედ გულშემატკივარი მამულიშვილის პოზიციებიდანაც ეხმაურებიან მათ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ე. ბათავანის “აბხაზეთის ნიავი“, რომელშიც ავტორი მძაფრად გამოხატული ეროვნული ტკივილით მიაპყრობს მკითხველის ყურადღებას ჩვენი ქვეყნის ამ რეგიონში ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში განვითარებულ ტრაგიკულ მოვლენებს.

მიუხედავად ჩვენი ქვეყნისადმი დაუცხრომელი სიყვარულისა, უცხო მიწაზე ოთხასწლოვანმა ცხოვრებამ მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი ჩვენი მოძმეების ცნობიერებაში ფერეიდანი სამშობლოს ტოლფარდ იმ ადგილად აქცია, სადაც ისინი მათ წილხვედრ პატარა საქართველოს აშენებდნენ და ამით რამდენადმე მაინც იცხრობდნენ დედა გურჯისტანისაგან სამუდამოდ განშორების უმძაფრეს ტკივილს. “ფერეიდნელის ოროველაში“ თავმოყრილი პოეტური ტექსტებისადმი ინტერესს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ის ფაქტიც, რომ მათში ირანის მიწაზე იქაურ ქართველთა მიერ შექმნილი მათი წილხვედრი ამ “პატარა საქართველოსადმი“ სიყვარულიც არის გამოვლენილი.

ფერეიდანის მიწაზე პატარა საქართველოს შექმნის ილუზიურ გრძობას რეალურს ხდიდა ის ფაქტი, რომ ქართული ტოპონიმებით გადანათლულ იქაურ სოფლებში ოთხი საუკუნის მანძილზე ცხოვრება ძირითადად ქართული ყოფისათვის დამახასიათებელ წეს-ჩვეულებათა დაცვით მიმდინარეობდა, მოსახლეობა კი წინაპართა ენით ეკონტაქტებოდა ერთმანეთს. “ქუჩებში ისმის ძახილი ქართველი დედის თუ მამის, შვილებს რომ ეძახიან შინისკენ, ლამპიონები ქუჩებში მორთულან და ანათებენ გურჯთა გზას. ასეთი საამო სამოთხე ცოტა თუ არის ქვეყნად. ეს არის ჩვენი სოფელი“ (ემამყული ბათავანი).

დასასრულ კიდევ ერთხელ გავიმეორებ: მიუხედავად იმისა, რომ ფერეიდნელ სახალხო მთქმელთა და მხატვრულ სიტყვას შეჭიდებულ ავტორთა ქართულენოვანი შემოქმედება წმინდა ლიტერატურული თვალსაზრისით ნაკლებად მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს, მათ მიერ შექმნილი პოეტური ტექსტები მაინც იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმის გამო, რომ მათში სიღრმისეულადაა წარმოჩენილი ისტორიული ავბედობის შედეგად მშობლიურ წილს მოწყვეტილი ჩვენი თანამემამულეების ეროვნული ცნობიერების განმსაზღვრელი არსებითი მხარეები.

დამოწმებული ლიტერატურა:

გ. კალანდია, 2010 — გ. კალანდია, აჰმედ მელაშვილი — ჩვენებურთა ბელადი, თბ. 2010 წ;

ს. მულიანი, 2005 — ს. მულიანი, ფერეიდნელი ქართველი თავის დედის ენას ზეიმობს. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა, თბ. 2005 წ. 22 მაისი;

ყოლამ-ჰუსეინ ონიკაშვილი, 1908 — ყოლამ-ჰუსეინ ონიკაშვილი, ჟურნალი „განთიადი, თბ. 1908 წ. №5-6;

ფერეიდნელის ოროველა, 2003 — ფერეიდნელის ოროველა, ლექსები, მასალა შეკრიბა ჯ. გიუნაშვილმა; გამოსაცემად მოამზადა ვ. კოტეტიშვილმა, თბ. 2003 წ;

ჭელიძე 1951 — ა. ჭელიძე, ფერეიდანი, თბ. 1951 წ;

ინტერნეტსაიტი: www.fereidani.ge.

Avtandil Nikoleishvili /Akaki Tsereteli State University/

Poetic Reflection of Georgian Consciousness of the Fereydan Georgians

Summary

In terms of the manifestation of national consciousness of the Fereydan Georgians the collection of poems "Orovela of the Fereydan Georgian", published in Tbilisi in 2003, is an extremely important material, which includes Georgian poetical works of Georgian authors living in Fereydan. The main reason for the creation of the poems in the book is the Georgian consciousness that has firmly and steadily been maintained by the Fereydan Georgians who have been away from their native roots for more than four hundred years.

The main sign that demonstrates national consciousness of the the Fereydan Georgians is a native Georgian language that has been kept until today. It is true that a lot has changed in the language of the Fereydan Georgians as a result of living in a foreign environment for a long time, but during this period it has successfully managed to play its primary role _ to preserve and maintain the national consciousness of the Fereydan Georgians.

The interest towards the poems of our Iranian brothers is substantially increased by the fact that through expressing their patriotic feelings they actually represent the views of all Fereydan generations in an emotionally impressive way. Despite the relentless love towards our country in the consciousness of the Fereydan Georgians, who have been torn from the native roots for four hundred years and lived in a foreign land, Fereydan became the place equal to their homeland, where they built their small share of Georgia and somehow managed to kill the pain that was caused by being isolated from their real motherland _ Georgia.

Despite the fact, that creative works of Fereydan authors written in the Georgian language have less creative value from literary point of view, their poetic texts still acquire special importance as they thoroughly represent the key factors determining national consciousness of our fellow-countrymen who have been torn from their native roots as a result of historical misfortune.